ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენლის

ბრძანება №01-00/08

ქ. თბილისი 20. 06. 2013

აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხული სტუდენტებისათვის სწავლის წლიური საფასურისა და საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი დოქტორანტების მინიმალური რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" და „მ" ქვეპუნქტების, ამავე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 17 ივნისის დადგენილების (სხდომის ოქმი №35) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხული სტუდენტებისათვის სწავლის წლიური საფასური თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განისაზღვროს 2250 (ორიათასორასორმოცდაათი) ლარით;
2. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ერთ-ერთი წინაპირობაა მოცემულ პროგრამაზე არანაკლებ 4 (ოთხი) დოქტორანტობის კანდიდატის არსებობა, რომლებიც აკმაყოფილებენ უნივერსიტეტის მიერ დადგენილ დოქტორანტურაში მიღების სხვა წინაპირობებს;
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მთავარ ბუღალტერს (ქ-ნი ნ. სხულუხია), საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს (ბ-ნი ე. კოპალიანი), სკოლების (ფაკულტეტის) დეკანატებს;

4. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის

სრულუფლებიანი წარმომადგენელი,

მეუფე იაკობი (იაკობიშვილი) +